საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 37 1058

02/08/2018

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2435.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) არსებული შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 206.7 კვ.მ) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.ა"–ქვეპუნქტის, ,,ე"–ქვეპუნქტის ,,ე.ე"–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე–2 მუხლის ,,ი"–ქვეპუნქტის და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №38 106 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2435.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) არსებული შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 206.7 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2435.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) არსებული შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 206.7 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 2800 (ორიათასრვაასი) ლარი.

1.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2435.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.002) არსებული შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 206.7 კვ.მ) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2435.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

№34.09.44.002) არსებული შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 206.7 კვ.მ) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.5.4. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი